მარნეულის მუნიციპალიტეტი
მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. #73
ს.კ. 234232149
მომსახურე ბანკი: ს.ს.“ლიბერთი ბანკის“ მარნეულის ფილიალი
ბანკის კოდი LBRTGE22;
ა/ა GE54LB0120166049432006

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ახლოლალოში სასმელი წყლის (II- ეტაპი) რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა ელექტრონული ტენდერის საშუალებით

სატენდერო დოკუმენტაცია

სავარაუდო ღირებულება – 212 842 ლარი

2016 წელი

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1.1. იურიდიული პირებისათვის:

1.1.1. ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრიდან;

1.1.2. ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონის შესახებ.

1.2. ფიზიკური პირებისათვის:

1.2.1. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

1.2.2. გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთი;

1.2.3. ცნობა სასამართლოდან რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

1.2.4. ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონის შესახებ.

1.3. როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიული პირებისათვის:

1.3.1. სატენდერო წინადადების ხელის მომწერისთვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).

1.3.2. სუბკონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაკტორების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები 1–ლი მუხლის შესაბამისად.

2.ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველ ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთ) სამუშაო დღეში. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

3. პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხდება სისტემის მეშვეობით, ამ შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მოსთხოვოს პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით წარმოდგენა ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

ტექნიკური დოკუმენტაცია

1. **შესასყიდი სამუშაოს დასახელება და რაოდენობა:** <u>მარნეულის მუნიციპალიტეტის *სოფელ ახლოლალოში სასმელი წყლის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე*</u> შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა და განფასება მოცემულია სისტემაში ატვირთული დანართების სახით.
1. **დაფინანსების წყარო :** <u>*სახელმწიფო ბიუჯეტი – საქართველოს მთავრობის 2016 წლის 02 თებერვლის N175 განკარგულებით (საქართველოს რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან ადგ. თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ) – 202 199 ლარი (95%) და თანადაფინანსება 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან – 10 643 ლარი (5%).*</u>
2. **მიწოდების ადგილი და ვადა:** სამუშაოები შესრულებულ უნდა იქნეს **ხელშეკრულების გაფორმებიდან 100 კალენდარული დღის განმავლობაში .**
3. **სატენდერო წინადადების ღირებულება** უნდა მოიცავდეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების სრულყოფილად შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას. სატენდერო წინადადების ღირებულება გაანგარიშებული უნდა იქნას სატენდერო წინადადების სისტემაში ატვირთული დანართების შესაბამისად.
4. მონაწილის რეკვიზიტები: მისამართი (რეგისტრაციის და ფაქტიური), ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები;
5. სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).
6. <u>*შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს 2012–2015 წ.წ განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები (სასმელი წყლის მოწყობა/რეაბილიტაცია) 400 000 (ოთხასიათასი) ლარის ოდენობით. ანალოგიური ხასიათის სამუშაოების შესრულების გამოცდილების შესახებ (წარმოდგენილი იქნეს სამუშაოების საბოლოო შესრულების შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია – მიღება–ჩაბარების (შესრულების) აქტ(ებ)ის ასლ(ებ)ი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სათანადო წესით დამოწმებული).*</u>
7. <u>*სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნება ტენდერიდან დაზუსტების გარეშე:*</u>
   - 8.1. <u>*ფასების ცხრილის (ხარჯთაღრიცხვა) წარმოუდგენლობის შემთხვევაში;*</u>
   - 8.2. <u>*თუ არ იქნება წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის მე–6 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია.*</u>
8. ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებულ საბოლოო ფასსა და სავარაუდო ღირებულებას შორის 20%–ით ან მეტი სხვაობის შემთხვევაში (<u>შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში),</u> <u>პრეტენდენტი ვალდებულია ფასწარმოქმნის ადეკვატურობა და ხარჯთაღრიცხვის</u>

ხარისხთან შესაბამისობა დაასაბუთოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან/და სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე.

9.1. პრეტენდენტმა აღნიშნული დასკვნის ღირებულება უნდა დაფაროს საკუთარი ხარჯებით და უზრუნველყოს მისი წარმოდგენა ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შეტყობინების მიღებიდან მაქსიმუმ 10 სამუშაო დღის განმავლობაში - (ზუსტ ვადებს განსაზღვრავს სატენდერო კომისია და აცნობებს პრეტენდენტს ასახული ფაქტის დადგომის შემთხვევაში), ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების შემდეგ (ასეთი ფაქტის დადგომის შემთხვევაში), მაგრამ აუცილებლად ტენდერისათვის „გამარჯვებული გამოვლენილია“ სტატუსის მინიჭება-მდე). აღნიშნულ ვადაში დასკვნის წარმოუდგენლობა ან/და უარყოფითი დასკვნის წარმოდგენა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

9.2. დასკვნის დედნის წარმოდგენის ვალდებულება პრეტენდენტს დაუდგება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის;

9.3. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის დედანი რჩება შემსყიდველ ორგანიზაციაში და დაბრუნებას არ ექვემდებარება.

9.4. სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტს დაუდგება ვალდებულება დასკვნასთან ერთად დამატებით წარმოადგინოს დასკვნის გამცემი აკრედიტირებული პირის შესაბამისი აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

9. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად გამოიყენება ხელშეკრულების გარანტირების მექანიზმი. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3%–ის ოდენობით დანართ N3–ის შესაბამისად.

10.1. იმ შემთხვევაში, როდესაც ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%–ით და მეტით დაბალი იქნება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამარჯვებულ მიმწოდებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია 6%–ის ოდენობით.

10.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების შესრულების ვადას.

10. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა:

11.1. *საამშენებლო სამუშაოების ჩაბარებიდან 3 (სამი) წელი, რომლის განმავლობაშიც შემსრულებელი ვალდებული იქნება აღმოფხვრას შესრულებულ სამუშაოზე წარმოქმნილი ყველა დეფექტი ან ნაკლი, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან მაქსიმუმ 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეში.*

11. პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

12. ანგარიშსწორება:

12.1. ანგარიშსწორება განხორციელდება სამუშაოების გაწევის შესახებ „მიღება–ჩაბარების“ აქტის საფუძველზე, აქტის გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. სამუშაოების შესრულების პროცესში ანგარიშსწორებამ შესაძლებელია იწარმოოს შესაბამისი სამუშაოების შესრულების შუალედური დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის მიხედვით/ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით. *<u>წინასწარი ანგარიშსწორების პირობები არ განიხილება.</u>*

12.2. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესრულებული სამუშაო გადაიგზავნება ექსპერტიზაზე, ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენამდე, ეტაპობრივი ანგარიშწორება განხორციელდება სახელშეკრულებო ღირებულების 90%-ის ფარგლებში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

12.3. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება სათანადო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, დასკვნის გაცემიდან 30 დღის განმავლობაში (საექსპერტო მომსახურების ხარჯებს დაფარავს შემსყიდველი)

12.4. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს შემთხვევაში ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება შემსრულებლის მიერ პირგასამტეხლოს შესაბამისი რაოდენობის თანხის გადახდის შემდეგ.

13. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია: ა) რეკვიზიტები, ბ) სატენდერო წინადადების ფასი, (დანართი N1).

14. <u>სამუშაოს შესრულების ზუსტი გეგმა–გრაფიკი – გამარჯვებული კომპანიის მიერ გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1% ოდენობით;</u>

15. *პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული სატენდერო წინადადება უნდა მოქმედებდეს კონკრეტულ ელექრონულ ტენდერში ”ხელშეკრულება დადებულია”, ”დასრულებულია უარყოფითი შედეგით” და ”ტენდერი შეწყვეტილია” სტატუსებიდან ერთერთის მინიჭებამდე.*

16. ძირითადი სამშენებლო მანქანა–მექანიზმების და სატრანსპორტო და საშუალებების საჭირო რაოდენობა:

იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა–მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში ან საკუთრებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები (კერძოდ: იმ შემთხვევაში, თუ მანქანა–მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის ბალანსზე, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი აუდიტორული დასკვნა; თუ რომელიმე მანქანა–მექანიზმი და დანადგარი აყავს იჯარით, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულება; ასევე, აუცილებლად მითითებულ უნდა იქნეს სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა–მექანიზმების და დანადგარების ადგილმდებარეობა და იურიდიული ან/და ფიზიკური პირის გამარჯვების შემთხვევაში რა დრო დასჭირდება მათი სამუშაოს შესრულების ადგილზე მობილიზაციისათვის. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ცხრილი N1–ის შესაბამისად.

<u>შენიშვნა:</u> *პრეტენდენტი ვალდებულია სრულად ფლობდეს იმ სახისა და რაოდენობის მატერიალურ/ტექნიკურ ბაზას თანმდევი ტექნიკა/დანადგარებით, რაც საჭიროა აღნიშნული სამუშაოების*

სრულფასოვნად მაღალი ხარისხით განხორციელებისათვის, ეს შესაბამისად უნდა იქნეს სრულყოფილად ასახული ზემორე მოცემულ ცხრილში ჩამონათვალის სახით შესატყვის დამადასტურებელ სამართლებრივ დოკუმენტაციასთან ერთად.

ცხრილი N1

№	მანქანა–მექანიზმების დასახელება	აღწერილობა მოდელი,ტიპი,მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი,ნახმარი ,მოძველებული)	საკუთრება: მფლობელის ან სარგებლობის ფორმა
1 2 და ა.შ					

17. *<u>პრეტენდენტის მიერ სისტემაში ტექნიკური დოკუმენტაციის სახით ატვირთული უნდა იქნას ტექნიკური დოკუმენტაციის ზემოაღნიშნულ პუნქტებში მითითებული დოკუმენტაცია/ინფორმაცია სრულად</u>* . ასევე, მითითებული ინფორმაცია.სუბკონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში პრეტენდენტებმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთონ სუბკონტრაკტორების მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის ზემოაღნიშნულ პუნქტებში

18. ტექნიკური დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე. დოკუმენტაციასთან დაკავშირებული სადავო საკითხების გადაწყვეტისას უცხოურენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს გადაწყვეტს სატენდერო კომისია.

19. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან:

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი : თეა ძამაშვილი +995 558 664478, 599 857272 .

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ პროექტი

ხელშეკრულების №

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „———“ ——————— 201 —— წ.

ერთის მხრივ **მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის ----------------------- სახით და მეორეს მხრივ **-----------------------** (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის --------------სახით, სახელმწიფო შესყიდვებისშესახებ კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული
1.6. “ტექნიკური დავალება”– სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: *მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ახლოლალოში სასმელი წყლის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა* ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. შესასრულებელისამუშაოების საერთო ღირებულება შეადგენს ----------

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოებისშესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. სამუშაოებიშესრულებულ იქნება შემდეგ მისამართზე: _____

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები განახორციელოს ——————————. იგი პასუხისმგებელია გაწეული სამუშაოების ხარისხსა და დროულობაზე.

4.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მასშესრულებულისამუშაოების ღირებულება.

4.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

4.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

4.5. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5. სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. სამუშაოები შესრულებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან “მიღება-ჩაბარების” აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ განსაზღვრული იქნება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის განსაზღვრული პირი.

6.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესრულებულისამუშაოების ხარისხის კონტროლს.

6.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. შესასრულებელისამუშაოების ხარისხი და გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაოები არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი (შესრულებული იქნება მახალხარისხოვნად), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

8.2. ანარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებიდან 30 საბანკო დღის განმავლობაში. სამუშაოების შესრულების პროცესში ანგარიშსწორებამ შესაძლებელია იწარმოოს შესაბამისი სამუშაოების შესრულების შუალედური დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის მიხედვით.

8.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

8.4 საბოლოო ანგარიშსწორება განხორციედება ექსპერტიზის დასკვინს (სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს) საფუძველზე, დასკვნის გაცემიდან 30 დღის განმავლობაში.

8.5 წინასაწარი ანგარიშსწორების ფორმა არ გამოიყენება.

9. ფასები

9.1. მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

9.4. ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

11.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12. სუბ-კონტრაქტორები

12.1. იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

12.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

12.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1% ოდენობით.

14.2. იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირეულების 10 (ათ) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

14.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია

15.1. იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3–6%-ის ოდენობით.

15.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება

შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო.

15.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების გარანტია.

15.4. მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

16.2. მხარე ვალდებულია 10.2. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლება 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

16.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. სხვა პირობები

18.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ——— ——————— წ-მდე.

18.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

გამგებელი:

_____ _____

დანართი N1

1. პრეტენდენტის დასახელება და ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა:

ხელმძღვანელის სახელი გვარი:

მისამართი:

იურიდიული:

ფაქტიური:

საიდენტიფიკაციო კოდი:

მომსახურე ბანკი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი:

საკონტაქტო ტელეფონის #:

ელ. მისამართი:

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:

დანართი N3

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(საბანკო ან/და სადაზღვევო გარანტია)

ვის:_____
(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ _____
(მიმწოდებლის დასახელება)
შემდგომში "მიმწოდებელმა" _____ ტენდერში წარდგენილი თავისი
(ტენდერის დასახელება)
სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.
ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე
_____
(თანხა ციფრებით) (თანხა სიტყვებით)
და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე.

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

_____

_____

_____
(თარიღი)

_____

(მისამართი)